



საქართველოში ცენტრალური ბანკი
პირველად 1919 წელს დაფუძნდა

მონეტარული და ფისკალური მიმოხილვა

აკრილი

2010

საქართველოს ეროვნული ბანკი

„მონეტარული და ფისკალური მიმოხილვა“
მომზადებულია საქართველოს ეროვნული ბანკის
მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის
მიერ.

1. სამომხმარებლო ფასების ცვლილება	4
2. მონეტარული აგრეგატების დინამიკა.....	8
3. სამთავრობო ოპერაციები	10
4. საბანკო სექტორი	13
5. სავალუტო ბაზარი	18
6. სადეპოზიტო სერთიფიკატების აუქციონები, პირდაპირი ბანკთაშორისი კრედიტები.....	22
7. საგარეო სექტორის მიმოხილვა.....	24
8. დანართი	30
საქართველოს ეროვნული ბანკის ანალიტიკური ბალანსი.....	30
მონეტარული მიმოხილვა.....	31
კომერციული ბანკების კონსოლიდირებული ბალანსი	32
კომერციული ბანკების მიერ ეკონომიკაზე გაცემული სესხები	33
კომერციული ბანკების მიერ მოზიდული დეპოზიტები.....	34
რეფინანსირების სესხების აუქციონის დინამიკა	35
სებ-ის სვოპ ოპერაციების დინამიკა.....	35
სავალუტო აუქციონების დინამიკა.....	36
მთლიანი საერთაშორისო რეზერვების დინამიკა	37
საერთაშორისო რეზერვებიდან მიღებული შემოსავლების დინამიკა	39

1. სამომხმარებლო ფასების ცვლილება

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2010 წლის აპრილში სამომხმარებლო ფასების საერთო დონე 0.3 პროცენტით გაიზარდა მარტის მაჩვენებელთან შედარებით. წინა 2009 წლის აპრილში მარტთან შედარებით სამომხმარებლო ფასები 0.5 პროცენტით იყო გაზრდილი, შედეგად, 2010 წლის აპრილში წლიური ინფლაცია წინა თვეში დაფიქსირებული 5.8 პროცენტიდან 5.6 პროცენტამდე შემცირდა. საშუალო წლიური ინფლაციის მაჩვენებელი აპრილში 0.4 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 2.6 პროცენტს მიაღწია.

აპრილის ინფლაციაზე მნიშვნელოვანი იყო სეზონური ფაქტორების შედეგად ბოსტნეულზე, ხორცპროდუქტებსა და რძის პროდუქტებზე ფასების ცვლილების გავლენა. კერძოდ, ფასები გაიზარდა კარტოფილზე, ხორცპროდუქტებზე, პამიდორზე და სანელებზე. ფასების კლება შეიმჩნეოდა მწვანე ხაჭაპურზე, ტკივილგამაყუჩებელ მედიკამენტებზე, კიტრზე, ბადრიჯანზე, მწვანე ლობიოზე, შაქარსა და ყველზე.

ამას გარდა აპრილში ფასების ზრდა დაფიქსირდა კატეგორიებზე: „საცხოვრებელი სახლი, ნაყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები“ და „ტრანსპორტი“. რაც შეეხება თვის საბაზო ინფლაციებს, ორი სტანდარტული გადახრის ფარგლებში მოხვედრილი პროდუქტებისათვის (მთელი კალათის 92.9 პროცენტი) თვის საბაზო ინფლაცია 0.4 პროცენტს შეადგენს. ხოლო ერთი სტანდარტული გადახრის ფარგლებში მოხვედრილი პროდუქტებისათვის (მთელი კალათის 83.7 პროცენტი) აღნიშნული მაჩვენებელი 0.1 პროცენტია.

წლიური საბაზო ინფლაციის მაჩვენებლები -0.4 და 0.5 პროცენტს შეადგენს, შესაბამისად, ორი და ერთი სტანდარტული გადახრის ფარგლებში მყოფი პროდუქტებისათვის. უკანასკნელი ცხრა თვის მანძილზე საბაზო ინფლაციის მაჩვენებლების მიხედვით დეფლაცია ფიქსირდებოდა. აპრილის თვეში კი ერთი სტანდარტული გადახრის ფარგლებში მყოფი პროდუქტებისათვის დათვლილი საბაზო ინფლაცია როგორც უკვე აღვნიშნეთ დადებითია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ 2010 წლის აპრილის წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით სამომხმარებლო კალათის ფასები 5.6 პროცენტით გაიზარდა. წლიური ინფლაციის ზრდა ძირითადად გამოწვეულია ბოსტნეულზე (17.8 პროცენტით), ხილზე (18.6 პროცენტით), რძეზე (6.1 პროცენტით), ხორცის პროდუქტებზე (1.3 პროცენტით), განა-

თლებაზე (48.6 პროცენტით), ბენზინზე (65.0 პროცენტით), დიზელზე (62.8 პროცენტით), შაქარსა და საკონდიტრო ნაწარმზე (35.4 პროცენტით), ასევე ტრანსპორტზე (15.7 პროცენტით) და ალკოჰოლურ სასმელებსა და თამბაქოზე (5.4 პროცენტით) ფასების ზრდით. ამას გარდა, ფასის ზრდა დაფიქსირდა შემდეგ კატეგორიაზე: „სასტუმროები, კაფეები და რესტორნები“ – 1.0 პროცენტი.

ფასები შემცირდა თევზეულზე (9.4 პროცენტით) და ზეთსა და ცხიმზე (1.2 პროცენტით). ასევე ფასების კლების ტენდენცია შეინიშნება კატეგორიებზე – „ტანსაცმელი და ფეხსაცმელი“ (10.3 პროცენტით), „საცხოვრებელი სახლი, ნაყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები“ (1.7 პროცენტით) და „ავიჯი, საოჯახო ნივთები და მოწყობილობა, სახლის მოვლა-შეკეთება“ (3.1 პროცენტით). კატეგორიაზე „სხვადასხვა საქონელი და მომსახურება“ ფასების კლებამ 1.4 პროცენტი შეადგინა.

აპრილის თვეში იმპორტირებულ საქონელზე წლიური ინფლაციის მაჩვენებელმა 4.8 პროცენტი შეადგინა. აღსანიშნავია რომ ერთწლიანი ფასების კლების შემდეგ, ბოლო 3 თვის მანძილზე იმპორტირებულ პროდუქტზე დადებითი ინფლაცია ფიქსირდება, რაც საერთაშორისო ბაზრებზე ფასების ზრდის ტენდენციის შედეგია. ადგილობრივი საქონელის ინფლაციამ 2.8 პროცენტი შეადგინა. ამავე პერიოდში არასავაჭრო საქონელზე ფასების ინფლაციამ 2.5 პროცენტი შეადგინა, ხოლო სავაჭრო საქონელზე წლიური ინფლაცია 8.2 პროცენტი დაფიქსირდა.


საქონლის მოხმარების ხანგრძლივობის მიხედვით განხილვა გვიჩვენებს, რომ 2010 წლის აპრილში წინა თვესთან შედარებით ფასები შემცირდა საშუალო ხანგრძლივობის მოხმარების საქონელზე (0.9 პროცენტით). ხოლო ფასების ზრდა დაფიქსირდა ხანმოკლე და ხანგრძლივი მოხმარების საქონელზე და მომსახურებაზე (0.3, 0.6 და 0.4 პროცენტით შესაბამისად).




სხვადასხვა ხანგრძლივობის მოხმარების საქონელს შორის წლიური ინფლაციის მაჩვენებელი ხანმოკლე მოხმარების საქონლისათვის შეადგენს 6.7 პროცენტს, საშუალო ხანგრძლივობის მოხმარების საქონელისთვის აღნიშნული მაჩვენებელი უარყოფითია და -7.4 პროცენტს შეადგენს, ხოლო ხანგრძლივი მოხმარების საქონელისთვის აღნიშნული მონაცემი 1.2 პროცენტს გაუტოლდა. მომსახურებაზე ფასები 5.8 პროცენტით გაიზარდა.

1 იგულისხმება არა მარტო საქალაქო ავტობუსებითა და მეტროპოლიტენით მგზავრობის ფასები, არამედ ტრანსპორტზე ფასების საშუალო ზრდა. მათ შორის, სხვა ტიპის ტრანსპორტზეც, მაგ., ქალაქის შიგნით ტაქსი, მიკროავტობუსი, საგარეუბნო და საქალაქთაშორისო ტრანსპორტი და ა. შ.

ინფლაციის (სფი) მაჩვენებლები ცალკეული კომპონენტების მიხედვით (პროცენტი), მათი წონა სამომხმარებლო კალათაში (პროცენტი) და ზეგავლენა სფი-ზე (პროცენტული პუნქტი).



	2009 წლის დეკემბრის წონები	აპრ10 / მარ 09		აპრ10 / აპრ09		მაი09 აპრ10 / მაი08 აპრ09	
		ინფლაცია	წვლილი	ინფლაცია	წვლილი	ინფლაცია	წვლილი
სულ	100.0%	0.3%	0.2%	5.6%	5.7%	2.6%	2.3%
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	41.7%	0.0%	0.0%	7.8%	3.3%	3.5%	1.5%
სურსათი	40.5%	0.0%	0.0%	8.0%	3.2%	3.5%	1.4%
პური და პურპროდუქტები	11.7%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	-5.2%	-0.7%
ხორცი და ხორცის პროდუქტები	6.8%	2.9%	0.2%	1.3%	0.1%	-0.8%	-0.1%
თევზი	1.3%	-0.3%	0.0%	-9.4%	-0.1%	-10.2%	-0.1%
რძე, ყველი და კვერცხი	4.8%	-2.9%	-0.1%	6.1%	0.3%	-5.1%	-0.2%
ზეთი და ცხიმი	3.5%	1.2%	0.0%	-1.2%	0.0%	-16.9%	-0.7%
ხილი, ყურძენი	1.8%	1.5%	0.0%	18.6%	0.3%	46.2%	0.6%
ბოსტნეული, ბალჩეული, კარტოფილის და სხვა ბოლქვოვანების ჩათვლით	7.8%	-0.1%	0.0%	17.8%	1.4%	6.6%	0.5%
შაქარი, ჯემი, თაფლი, ვაჟინები, შოკოლადი, საკონდიტრო ნაწარმი	2.3%	-3.3%	-0.1%	35.4%	0.7%	27.3%	0.5%
კვების სხვა პროდუქტები	0.4%	0.0%	0.0%	0.7%	0.0%	1.7%	0.0%
უალკოჰოლო სასმელები	1.3%	-0.6%	0.0%	0.4%	0.0%	3.4%	0.0%
ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო	2.9%	-0.2%	0.0%	5.4%	0.2%	1.7%	0.1%
ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	4.4%	-1.1%	0.0%	-10.3%	-0.5%	-7.8%	-0.4%
საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები	13.8%	0.4%	0.1%	-1.7%	-0.3%	-4.8%	-0.7%
ავეჯი, საოჯახო ნივთები და მოწყობილობა, სახლის მოვლა-შეკეთება	3.5%	-0.2%	0.0%	-3.1%	-0.1%	-2.3%	-0.1%
ჯანმრთელობის დაცვა	8.8%	0.0%	0.0%	0.1%	0.0%	5.7%	0.5%
ტრანსპორტი	9.9%	1.9%	0.2%	15.7%	1.4%	1.4%	0.1%
კავშირგაბმულობა	4.0%	0.0%	0.0%	0.3%	0.0%	1.5%	0.1%
დასვენება, გართობა და კულტურა	2.2%	0.1%	0.0%	0.2%	0.0%	1.2%	0.0%
განათლება	4.9%	0.4%	0.0%	48.6%	1.7%	33.0%	1.1%
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	1.6%	-0.4%	0.0%	1.0%	0.0%	5.1%	0.1%
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	2.3%	0.3%	0.0%	-1.4%	0.0%	2.2%	0.1%
ხანმოკლე მოხმარების საქონელი	67.9%	0.3%	0.2%	6.7%	4.6%	3.0%	2.0%
საშუალო ხანგრძლივობის მოხმარების საქონელი	5.8%	-0.9%	-0.1%	-7.4%	-0.5%	-5.8%	-0.4%
ხანგრძლივი მოხმარების საქონელი	3.4%	0.6%	0.0%	1.2%	0.0%	-2.9%	-0.1%
მომსახურება	22.8%	0.4%	0.1%	5.8%	1.3%	4.0%	0.9%





2 * ერთი სტანდარტული გადახრის ფარგლებში მოხვედრილი პროდუქტების მიხედვით.


** ორი სტანდარტული გადახრის ფარგლებში მოხვედრილი პროდუქტების მიხედვით.



2. მონეტარული აკრედიტაციის დინამიკა

მონეტარული აკრედიტაცია

2010 წლის აპრილის მდგომარეობით, სარეზერვო ფულის მაჩვენებელი 58,9 მლნ ლარით (3,6 პროცენტით) გაიზარდა და საანგარიშო პერიოდის ბოლოს 1692,3 მლნ ლარი შეადგინა. საშუალო მაჩვენებლის მიხედვით კი წინა თვესთან შედარებით, მონეტარული ბაზა 43,6 მლნ ლარით (2,6 პროცენტით) შემცირდა. სარეზერვო ფულის წლიურმა ზრდამ კი 18,1 პროცენტი შეადგინა.



საანგარიშო პერიოდში, სავალუტო აუქციონების მეშვეობით სებ-მა გაყიდა 65,0 მლნ აშშ დოლარი (დაახლოებით, 113,9 მლნ ლარის ეკვივალენტი). აპრილში, შიდასამთავრობო კონვერტაციების შედეგად, სებ-ის წმინდა სავალუტო გაყიდვებმა 25,8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. შედეგად აღნიშნულმა ოპერაციებმა წმინდა უცხოური აქტივები შეამცირა დაახლოებით 90,8 მლნ აშშ დოლარით.

აპრილში, მთავრობის დეპოზიტებზე არსებული სახსრები

(ცხრილი N. სარეზერვო ფულის დინამიკა (2009 წ., დეკემბერი-2010 წ., აპრილი, თვის ბოლო მონაცემებით)
(ათასი ლარი)

	დეკ-09	იან-10	თებ-10	მარ-10	აპრ-10
სარეზერვო ფული	1,743,917	1,570,021	1,650,499	1,633,407	1,692,347
ფული მიმოქცევაში	1,457,938	1,357,686	1,356,142	1,398,806	1,412,001
ბანკების დეპოზიტები	285,979	212,335	294,358	234,601	280,347
საკორესპონდენტო ანგარიშზე ნაშთები	285,979	212,335	294,358	234,601	157,847
ერთდღიანი დეპოზიტები					122,500

(ცხრილი N. სარეზერვო ფულის დინამიკა (2009 წ., დეკემბერი-2010 წ., აპრილი, თვის საშუალო მონაცემებით)
(ათასი ლარი)

	დეკ-09	იან-10	თებ-10	მარ-10	აპრ-10
სარეზერვო ფული	1,687,663	1,663,657	1,597,929	1,677,721	1,634,136
ფული მიმოქცევაში	1,347,936	1,390,171	1,336,958	1,360,994	1,402,453
ბანკების დეპოზიტები	339,727	273,486	260,970	316,727	231,682
საკორესპონდენტო ანგარიშზე ნაშთები	339,727	273,486	260,970	316,727	220,182

90,6 მლნ ლარით შემცირდა და მისმა მოცულობამ, თვის ბოლო მონაცემის მიხედვით 849,8 მლნ ლარი შეადგინა.

საანგარიშო პერიოდში, კომერციული ბანკების ლიკვიდობის მართვის ხელშეწყობის მიზნით, გრძელდებოდა სადეპოზიტო სერტიფიკატების ემისია. აპრილის თვეში განთავსდა 100,0 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სადეპოზიტო სერტიფიკატები და დაიფარა 75,0 მლნ ლარის სადეპოზიტო სერტიფიკატები. 2010 წლის აპრილის ბოლოსათვის, მიმოქცევაში არსებული სადეპოზიტო სერტიფიკატების მოცულობა გაიზარდა 24,5 მლნ ლარით და 218,7 მლნ ლარი შეადგინა. ამავე პერიოდში კომერციული ბანკები აქტიურად იყენებდნენ რეფინანსირების მექანიზმს – აპრილის ბოლოსათვის ამ ინსტრუმენტით გაცემული სესხების ნაშთმა 60,0 მლნ ლარი შეადგინა. თვის განმავლობაში კომერციული ბანკებს ერთდღიანი კრედიტებით არ უსარგებლიათ.

აღნიშნული ოპერაციების შედეგად, აპრილში ბანკების წმინდა დავალიანების მოცულობა, თვის ბოლო მონაცემების მიხედვით, 35,5 მლნ ლარით შემცირდა და 113,7 მლნ ლარს გაუტოლდა.

ზემოაღნიშნული ფულადი ნაკადების მოძრაობის შედეგად, საანგარიშო პერიოდში სარეზერვო ფულის მაჩვენებელი 58,9 მლნ ლარით გაიზარდა. მათ შორის, საქართველოს ეროვნულ ბანკში, კომერციული ბანკების ეროვნული ვალუტით განთავსებულ საკორესპონდენტო ანგარიშებზე ნაშთებმა 76,8 მლნ ლარით მოიკლო და 157,9 მლნ ლარს გაუტოლდა. ამავე პერიოდისათვის, 13,2 მლნ ლარით გაიზარდა მიმოქცევაში არსებული ნაღდი ფული და მისმა მოცულობამ 1412,0 მლნ ლარი შეადგინა. საანგარიშო პერიოდში შემოდებული იქნა ახალი ინსტრუმენტი ერთდღიანი დეპოზიტების („ოვერნაითის“) სახით, თვის ბოლო დღისთვის კომერციული ბანკების მიერ სებ-ში განთავსებული ერთდღიანი დეპოზიტების მოცულობა 122,5 მლნ ლარი იყო.

ფართო ფული

2010 წლის აპრილში ფართო ფული M3-ის აგრეგატი 85,9 მლნ ლარით გაიზარდა და 4822,1 მლნ ლარი შეადგინა. საანგარიშო პერიოდში, უცხოური ვალუტით დეპოზიტები 5,6 მლნ ლარით (0,2 პროცენტით) გაიზარდა და აპრილის ბოლოსათვის 2527,1 მლნ ლარი შეადგინა. ამავე პერიოდში, 47,4 მლნ ლარით (4,6 პროცენტით) გაიზარდა ეროვნულ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტები და 1075,3 მლნ ლარს გაუტოლდა.

ფართო ფული M2-ის მაჩვენებელი საანგარიშო პერიოდში 3,6 პროცენტით (80,3 მლნ ლარით) გაფართოვდა, რაც ძირითადად ეროვნულ ვალუტაში დეპოზიტების ზრდამ განაპირობა.

ფართო ფული M3-ის მაჩვენებლის წლიურმა ზრდამ 38,3 პროცენტი, ხოლო ფართო ფული M2-ის მაჩვენებლის წლიურმა ზრდამ 37,2 პროცენტი შეადგინა.

ცხრილი N. ფულადი აგრეგატების ყოველთვიური ცვლილება (2009 წ., დეკემბერი-2010 წ., აპრილი, თვის ბოლო მონაცემებით)
(ათასი ლარი)

	დეკ-09	იან-10	თებ-10	მარ-10	აპრ-10
ფართო ფული /M3/	4,602,749	4,575,602	4,625,643	4,736,237	4,822,115
ფულადი მასა /M2/	2,132,621	2,018,709	2,099,847	2,214,757	2,295,058
ბანკებს გარეთ არსებული ნაღდი ფული	1,229,436	1,132,677	1,142,394	1,186,814	1,219,755
ლარები მიმოქცევაში	1,457,938	1,357,686	1,356,142	1,398,806	1,412,001
დეპოზიტები ეროვნულ ვალუტაში	903,185	886,031	957,452	1,027,943	1,075,303
დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში	2,470,128	2,556,893	2,525,796	2,521,480	2,527,057

3. სამთავრობო ოპერაციები

აპრილში მთავრობის დეპოზიტები თვის ბოლო მონაცემებით 90 მილიონი ლარით (10 პროცენტით) შემცირდა და 850 მილიონი ლარი შეადგინა.

2010 წლის აპრილში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა 485,8 მილიონი ლარი შეადგინა, მისი 72 პროცენტი საგადასახადო შემოსავლებზე მოდის. ოთხი თვის შემოსულობებმა 2,25 მლრდ ლარი შეადგინა და ნახევარი წლის გეგმის 69,2 პროცენტს შეადგენს.


აპრილის ბიუჯეტის გადასახდელებმა 574 მილიონი ლარი შეადგინა, ხოლო ოთხი თვის გადასახდელებმა 1,94 მლრდ ლარი შეადგინა, რაც ნახევარი წლის გეგმის 54 პროცენტია.

მთავრობის დეპოზიტები თებერვლის თვის ბოლო მონაცემებით 90 მილიონი ლარით შემცირდა, ხოლო თვის საშუალო მაჩვენებლის მიხედვით კი 188 მილიონი ლარით გაიზარდა.

საქართველოს ეროვნულ ბანკში მთავრობის ანგარიშებზე განთავსებული დეპოზიტები (მილიონი ლარი)

		თვის ბოლო	თვის საშუალო
2009 წელი	იანვარი	893	929
	თებერვალი	809	881
	მარტი	812	777
	აპრილი	555	706
	მაისი	482	537
	ივნისი	380	430
	ივლისი	428	376
	აგვისტო	341	365
	სექტემბერი	323	329
	ოქტომბერი	295	321
2010 წელი	ნოემბერი	471	329
	დეკემბერი	585	547
	იანვარი	749	626
	თებერვალი	667	706
	მარტი	940	714
	აპრილი	850	903

2010 წლის აპრილში მთავრობის დეპოზიტების წლიური 53 პროცენტისი ზრდა დაფიქსირდა (295 მლნ ლარი). რაც შეეხება დეპოზიტების საშუალო მაჩვენებელს, 2009 წლის აპრილთან შედარებით მთავრობის დეპოზიტები 28 პროცენტით გაიზარდა (196 მლნ ლარი).




2010 წლის აპრილის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა 485,8 მლნ ლარი შეადგინა. მათ შორის, საგადასახადო შემოსავლების ხვედრითი წილი 72 პროცენტია, ხოლო ვალდებულებების ზრდის შედეგად მიღებული შემოსულობების – 6 პროცენტი. აპრილის თვეში მთავრობამ გააგრძელა სახაზინო ვალდებულებების გამოშვება, რის შედეგადაც თვის განმავლობაში მოზიდულ იქნა 13,5 მლნ ლარის რესურსი.


2010 წლის აპრილის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები (ათასი ლარი)

შ ე მ ო ს უ ლ ბ ე ბ ი	6 თვის პროგნოზი	4 თვის შესრულება	აპრილის შესრულება	4თვის შესრულება%
სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები	2,362,774.7	1,663,675.6	447,503.0	70.4%
მ. შ. გადასახადები	2,083,230.0	1,425,133.8	348,701.4	68.4%
გრანტები	189,145.9	106,428.0	15,005.2	56.3%
სხვა შემოსავლები	90,398.8	132,113.7	83,796.4	146.1%
არაფინანსური აქტივების კლება	44,702.6	24,706.5	2,985.7	55.3%
ფინანსური აქტივების კლება	33,625.5	37,362.8	3,815.0	111.1%
ვალდებულებების ზრდა	805,726.8	522,612.2	31,516.1	64.9%
საშინაო ვალდებულებების ზრდა	100,000.0	80,409.4	13,461.0	80.4%
საგარეო ვალდებულებების ზრდა	705,726.8	442,202.9	18,055.2	62.7%
საინვესტიციო გრძელვადიანი შეღავათიანი კრედიტები	188,976.8	57,259.9	18,055.2	30.3%
ბიუჯეტის მხარდაჭერი კრედიტები	516,750.0	384,943.0	0.0	74.5%
სულ შემოსულობები	3,246,829.6	2,248,357.1	485,819.8	69.2%

აპრილში საგადასახადო შემოსავლების 50 პროცენტი (175 მლნ ლარი) მობილიზებულ იქნა დღგ-ს სახით. აქედან საბაჟო დეპარტამენტის მიერ მოზიდული შემოსავლის წილი 57 პროცენტს შეადგენს, ხოლო საგადასახადო ორგანოს მიერ 43 პროცენტს. აპრილის თვის საგადასახადო შემოსავლებში სიდიდით მეორე კატეგორიაა საშემოსავლო გადასახადი, რომელმაც 92 მლნ ლარი (26 პროცენტი) შეადგინა. აპრილში მობილიზებულ იქნა 29 მლნ ლარის (8 პროცენტი) ოდენობის აქციზის გადასახადი, ხოლო მოგების გადასახადმა მთლიანი შემოსავლის 13 პროცენტი (44 მლნ ლარი) შეადგინა, აქედან იმპორტზე დაწესებული აქციზის წილი 72 პროცენტია, ხოლო ადგილობრივ საქონელზე – შესაბამისად 28 პროცენტს შეადგენს.



აპრილში საგადასახადო შემოსავლების წილმა მთლიან შემოსავლებში შეადგინა 78 პროცენტი (348 მლნ ლარი), საიდანაც 29 პროცენტული პუნქტი მოდის პირდაპირ (საშემოსავლო გადასახადი, მოგების გადასახადი, საბაჟო, სხვა არაკლასიფიცირებული გადასახადი), ხოლო 49 პროცენტული პუნქტი არაპირდაპირ გადასახადებზე (დღგ, აქციზი). არასაგადასახადო შემოსავლების და გრანტების წილებმა შესაბამისად 19 და 3 პროცენტი შეადგინა.




2010 წლის აპრილში სახელმწიფო ბიუჯეტიდან დახარჯულია 574 მილიონი ლარის გადასახდელები, სადაც დიდი ხვედრითი წილით (24 პროცენტით) გამოირჩევა სუბსიდიები და გრანტები. მაღალია სოციალური უზრუნველყოფის (23 პროცენტი), შრომის ანაზღაურების (14 პროცენტი), აგრეთვე საქონლისა და მომსახურების (13 პროცენტი) წილი.

2010 წლის აპრილის სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები (ათასი ლარი)

გ ა დ ა ს ა ხ დ ე ლ ე ბ ი	6 თვის პროგნოზი	4 თვის შესრულება	აპრილის შესრულება	4 თვის შესრულება%
შრომის ანაზღაურება	521,183.2	315,106.0	82,079.4	60.5%
საქონელი და მომსახურება	537,607.1	215,390.2	76,628.9	40.1%
პროცენტი	108,739.5	72,166.5	40,123.1	66.4%
სუბსიდიები	117,793.6	55,785.7	14,392.0	47.4%
გრანტები	650,885.3	398,934.9	121,481.2	61.3%
მ. შ. სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებს		392,514.2	120,396.2	
სოციალური უზრუნველყოფა	760,394.3	498,232.4	129,345.8	65.5%
მ. შ. სოციალური დახმარება		495,791.8	128,438.6	
სხვა ხარჯები	320,104.0	175,772.1	45,864.0	54.9%
არაფინანსური აქტივების ზრდა	461,136.3	146,850.2	59,864.2	31.8%
ფინანსური აქტივების ზრდა	45,674.1	29,884.4	2,120.7	65.4%
ვალდებულებების კლება	72,377.4	31,866.6	1,924.3	44.0%
სულ გადასახდელები	3,595,894.6	1,939,988.8	573,823.6	54.0%

აპრილის ხარჯებში ყველაზე დიდ წილს იკავებს მიმდინარე ხარჯები, რომელმაც მთლიანი ხარჯების 89,2 პროცენტი (510 მლნ ლარი) შეადგინა. კაპიტალური ხარჯების წილმა აპრილში მთლიანი ხარჯების 10,4 პროცენტი (60 მლნ ლარი) შეადგინა, ხოლო წმინდა დაკრედიტება მთლიანი ხარჯების 0,4 პროცენტს (2 მლნ ლარი) შეადგენს.




ფუნქციონალურ ქრილში აპრილში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებში ყველაზე დიდი ხვედრითი წილით სარგებლობდა საერთო სახელმწიფო მომსახურებაზე გაწეული ხარჯები წილით 37 პროცენტი (209 მლნ ლარი). აღნიშნული ხარჯების ძირითადი ნაწილი წარმართა ადგილობრივი მთავრობებისადმი გამოყოფილ გრანტებზე, მთავრობის ფინანსურ და ფისკალურ საქმიანობაზე, აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფაზე, აგრეთვე ვალების მომსახურებაზე.



აპრილში სოციალურ დაცვაზე გაწეულმა ხარჯებმა მთლიანი ხარჯების 18 პროცენტი (105 მლნ ლარი) შეადგინა. აღნიშნული კატეგორიით გათვალისწინებული ასიგნებები ძირითადად მოხმარდა ხანდაზმულთა სოციალურ დაცვას, სოციალურად დაუცველი ოჯახებისა და ბავშვების დახმარებას, სოციალური გაუცხოების საკითხების მოგვარებას და აგრეთვე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალურ დაცვას.

საზოგადოებრივ წესრიგსა და უსაფრთხოებაზე გაწეული ხარჯები ბიუჯეტის ხარჯების ერთ-ერთი მსხვილი კატეგორიაა აპრილის თვეში (60 მლნ ლარი, მთლიანი ხარჯების 10 პროცენტი). აღნიშნული კატეგორიის ხარჯები ძირითადად წარმართა პოლიციის სამსახურისა და სახელმწიფო დაცვის ხარჯების ანაზღაურებაზე, აგრეთვე სასაზღვრო დაცვების დაწესებულებების, სასამართლოებისა და პროკურატურის ფინანსურ უზრუნველყოფაზე.

ხარჯების სიდიდით მეოთხე კატეგორიას აპრილში წარმოადგენდა თავდაცვაზე გაწეული ხარჯები (58 მლნ ლარი, მთლიანი ხარჯების 10 პროცენტი).



აპრილში სახელმწიფო ბიუჯეტის 124 მილიონიანი დეფიციტი დაფიქსირდა. დეფიციტის დაფინანსება ძირითადად მოხდა ფინანსური აქტივების კლებით (91 მლნ ლარი) და საშინაო და საგარეო ვალდებულებების წმინდა ზრდით (30 მლნ ლარი). პრივატიზაციით ბიუჯეტში 3 მლნ ლარი შემოვიდა.



4. საბანკო სექტორი

საბანკო სისტემის სადეპოზიტო ვალდებულებები მიმდინარე წლის აპრილში 52,9 მლნ ლარით (ანუ 1,5 პროცენტით) გაიზარდა და 3602,4 მლნ ლარი შეადგინა. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით დეპოზიტების მოცულობა გაიზარდა 45,1 პროცენტით. დეპოზიტების ზრდა თითქმის მთლიანად ეროვნული ვალუტაში დეპოზიტების მატებაზე მოდის.


საანგარიშო პერიოდში, უცხოური ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების ეროვნული ვალუტით გამოსახული მაჩვენებელი 5,6 მლნ ლარით გაიზარდა და 2527,1 მლნ ლარი შეადგინა. უცხოურ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტები (გამოსახული აშშ დოლარით) შემცირდა 16,7 მლნ აშშ დოლარით. აღნიშნული ტიპის დეპოზიტების კლება იურიდიული პირების მიმდინარე ანგარიშებზე არსებული ნაშთების შემცირებამ განაპირობა. იურიდიული პირების ანგარიშები შემცირდა 26,3 მლნ აშშ დოლარით. ვადიანი დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში კი გაიზარდა 11,7 მლნ აშშ დოლარით (1,0%-ით). აღსანიშნავია, რომ უცხოური ვალუტის დეპოზიტების მოცულობის 79,7 % ვადიან დეპოზიტებს უკავია.

ეროვნულ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტები აპრილის თვეში გაიზარდა 47,4 მლნ ლარით (4,6 პროცენტით) და 1075,3 მლნ ლარი შეადგინა. ეროვნულ ვალუტაში დეპოზიტების ძირითადი ზრდა იურიდიულ პირების მიმდინარე ანგარიშებზე მოდის.

საანგარიშო პერიოდში, სავალუტო და სალარე დეპოზიტების ზრდის ტემპებიდან გამომდინარე დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი 2010 წლის აპრილში, 0,9 პროცენტული პუნქტით შემცირდა და თვის ბოლოსთვის 70,2% -ს გაუტოლდა.


აპრილში საპროცენტო განაკვეთები დეპოზიტებზე 0,6 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 8,4 პროცენტი შეადგინა. ეროვნული ვალუტით მოზიდულ დეპოზიტებზე ბანკების მიერ გადახდილი სარგებლის წლიური საშუალო შენონილი განაკვეთი შემცირდა 0,6 პროცენტული პუნქტით და 10,1 პროცენტი შეადგინა. ეროვნულ ვალუტაში ფიზიკური პირების დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთი საანგარიშო პერიოდში შემცირდა 0,9 პროცენტული პუნქტით და 10,1 პროცენტი შეადგინა. უცხოური ვალუტით მოზიდულ დეპოზიტებზე კი წლიური განაკვეთი – 8,1%-ის დონეზეა, წინა თვესთან შედარებით 0,6 პროცენტული პუნქტით შემცირდა. უცხოურ ვალუტაში იურიდიული პირების დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთი გაიზარდა 1,7 პროცენტული პუნქტით და 8,8 პროცენტს შეადგენს. 2009 წლის აპრილში არსებულ მდგომარეობასთან შედარებით, ეროვნულ ვალუტაში დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები 0,6 პროცენტული პუნქტით შემცირდა, ხოლო უცხოურ ვალუტაში განთავსებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთები 1,4 პროცენტული პუნქტით შემცირდა.

დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში




■ იურიდიული პირების დეპოზიტები
■ ფიზიკური პირების დეპოზიტები

სადეპოზიტო ვალდებულებები



■ დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში ■ დეპოზიტები ეროვნულ ვალუტაში

დეპოზიტები ეროვნულ ვალუტაში





■ იურიდიული პირების დეპოზიტები
■ ფიზიკური პირების დეპოზიტები




მიმდინარე წლის აპრილში კომერციული ბანკების მიერ ეკონომიკის დაკრედიტება 154,4 მლნ ლარით გაიზარდა და 5574,7 მლნ ლარი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების ზრდის ტემპი წინა თვესთან, როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ ვალუტაში ბოლო ორი თვის განმავლობაში მკვეთრად გაიზარდა.

ეროვნული ვალუტით გაცემული სესხები გაიზარდა 80,2 მლნ ლარით (6,1 პროცენტით) და 1391,6 მლნ ლარს გაუტოლდა. გაიზარდა როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირების სესხები. გრძელვადიანი სესხები გაიზარდა 13,9 მლნ ლარით, ხოლო მოკლევადიანი სესხები გაფართოვდა 63,5 მლნ ლარით. საანგარიშო პერიოდისათვის, ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების 59,3 პროცენტი იურიდიულ

პირებზე მოდის. ამასთან, მთლიანი სესხების 58,5 პროცენტი გრძელვადიანი სესხებია.

უცხოური ვალუტით დენომინირებული სესხები 74,2 მლნ ლარით გაიზარდა, 4183,1 მლნ ლარამდე. უცხოურ ვალუტაში დაკრედიტების მოცულობა, გამოსახული აშშ დოლარით, გაიზარდა 9,5 მლნ აშშ დოლარით (0,4 პროცენტით) და საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის 2358,3 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა. ამ კატეგორიის სესხების 67,3 პროცენტი იურიდიული პირებისათვის გაცემული რესურსებია, ხოლო 82,1 პროცენტს გრძელვადიანი დაკრედიტება შეადგენს. ეკონომიკის დარგების მიხედვით დაკრედიტების ზრდა მნიშვნელოვანწილად ენერგეტიკის, სამთომომპოვებელ და ვაჭრობის სფეროს საწარმოთა ანგარიშებზე აისახა.








მიუხედავად, საანგარიშო პერიოდში სესხების მოცულობის ზრდისა, ეკონომიკის დაკრედიტების წლიური კლების ტემპი აპრილის ბოლოსათვის 1,0 პროცენტს შეადგენდა.

აპრილის თვეში ვადაგადაცილებული სესხები 0,8 მლნ ლარით, 0,4 პროცენტით შემცირდა და 216,3 მლნ ლარს გაუტოლდა.

საბანკო სისტემაში საპროცენტო განაკვეთები სესხებზე 2010 წლის აპრილში შემცირდა 0,4 პროცენტული პუნქტით და 19,7 პროცენტი შეადგინა. კერძოდ, ეროვნული ვალუტით სესხების საშუალო შენონილი წლიური საპროცენტო განაკვეთები 21,5 პროცენტია. ამავე პერიოდის განმავლობაში 0,2 პროცენტული პუნქტით, 18,4 პროცენტამდე შემცირდა უცხოური ვალუტით დაკრედიტების განაკვეთები. უცხოურ ვალუტაში იურიდიული პირებისთვის სესხები წლიური 16,3 პროცენტის ფარგლებში გაიცემოდა. 2009





წლის აპრილთან შედარებით საპროცენტო განაკვეთები უცხოურ ვალუტაში სესხებზე შემცირდა 3,7 პროცენტული პუნქტით, ხოლო ეროვნულ ვალუტაში სესხების საპროცენტო განაკვეთებმა მოიკლო 3,1 პროცენტული პუნქტით.

დეპოზიტებისა და სესხების მოცულობის ცვლილებების ფონზე საანგარიშო პერიოდში შემოსავლიანობა აქტივებზე (ROA) გაიზარდა 0,4 პროცენტული პუნქტით და 1,1 პროცენტი შეადგინა, ხოლო შემოსავლების კაპიტალთან ფარდობის მაჩვენებელმა (ROE) 2,3 პროცენტული პუნქტით მიმატა და 6,3 პროცენტს გაუტოლდა.


5. სავალუტო ბაზარი

2010 წლის აპრილში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სავალუტო აუქციონების გზით 65 მლნ აშშ დოლარი გაყიდა.


საანგარიშო პერიოდში ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 1,7494-დან თანდათანობით 1.7738-მდე შეიცვალა, ანუ გაუფასურდა 1,4 პროცენტით. ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი 1,9 პროცენტით ხოლო რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი 2 პროცენტით გაუფასურდა.



აპრილის თვეში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე აშშ დოლარი/ლარის ვაჭრობის მთლიანმა ბრუნვამ (ეროვნული ბანკის ინტერვენციების გარეშე) 67 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 18 მილიონი აშშ დოლარით ნაკლებია წინათვის ბრუნვაზე. დაახლოებით 21 პროცენტით შემცირდა კომერციულ ბანკებს შორის დადებული გარიგებების რაოდენობაც.

სებ-ის მონაწილეობა თბს-ზე 2009-2010 წლების განმავლობაში



ლარის ნომინალური და საბაზრო (ყიდვა-გაყიდვა) გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ





აპრილის განმავლობაში ეროვნულ ბანკი ბაზარზე ინტერვენციებს კვლავ სავალუტო აუქციონების მეშვეობით ახორციელებდა. საერთო ჯამში თვის განმავლობაში ჩატარდა 5 სავალუტო აუქციონი, სადაც ეროვნულმა ბანკმა 65 მლნ აშშ დოლარი გაყიდა.




აპრილში უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნა საკმაოდ მაღალი იყო კომერციული ბანკების მხრიდან. შედეგად ეროვნულ ბანკს ბაზარზე აქტიური ჩარევა მოუწია და მარტთან შე-

დარებით ინტერვენციები გააორმაგა. აპრილის ჯამური ინტერვენციები თითქმის გაუტოლდა ბანკებს შორის ვაჭრობის ბრუნვას.

კომერციული ბანკების მხრიდან შედარებით ნაკლები აქტიურობის შედეგად ოდნავ გაიზარდა სავალუტო ბაზრის კონცენტრაცია. ბანკთაშორის სავალუტო გარიგებების მთლიანი თანხის 72 პროცენტი ქვეყანაში მოქმედი 19 ბანკიდან 5 ბანკზე მოდის. გარიგებების მხრივაც ყველაზე

აქტიურ 5 ბანკს ბაზრის 66 პროცენტი უჭირავს. აპრილის თვეში კონცენტრაციის გაზრდას ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსის ზრდა არ მოჰყოლია და უცვლელად 14 პრო-

ცენტზე დარჩა, რაც საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია და სავალუტო ბაზრის კონკურენტულობაზე მიუთითებს.




2010 წლის აპრილში 2009 წლის აპრილთან შედარებით რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი 8 პროცენტით, ხოლო ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი 7,5 პროცენტით გაუფასურდა. რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის ნომინალურ ეფექტურ გაცვლით კურსზე უფრო მეტად გაუფასურება იმის მანიშნებელია, რომ საქართველოს ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში უფრო მაღალი ინფლაცია ფიქსირდებოდა, ვიდრე საქართველოში. კერძოდ, აპრილში წლიური ინფლაცია საქართველოში დაფიქსირებულ 5,6 პროცენტზე მაღალი იყო რუსეთში – 6, სომხეთში – 6,8, უკრაინაში – 9,7, თურქეთში – 10,2, აზერბაიჯანში 6. ევროზონაში ინფლაციამ აპრილის მონაცემებით 1,5 პროცენტი შეადგინა, ხოლო აშშ-ში 2,2 პროცენტი.

2010 წლის აპრილში 2007 წლის დეკემბერთან შედარებით, რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი 2,7 პროცენტით, ხოლო ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი 9,3 პროცენტით გამყარდა.

6. სადეპოზიტო სერტიფიკატების აუქციონები, ბანკთაშორისი ფულადი ბაზარი.


აპრილში ჩატარდა სადეპოზიტო სერტიფიკატების 91 დღიანი აუქციონი, აღნიშნულ აუქციონზე მთლიანად განთავსდა 100 მლნ. ლარის ნომინალური ღირებულების სადეპოზიტო სერტიფიკატი, საანგარიშსწორებო ფასით 98,868,285 ლარი, რაც მარტის თვის ანალოგიურ მაჩვენებელს 40 მლნ.

ლარით აღემატება. აპრილში ბანკების მხრიდან სადეპოზიტო სერტიფიკატებზე მოთხოვნა 110.35 მლნ. ლარით აღემატებოდა ემისიას. საშუალო შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა 4,42 პროცენტი შეადგინა, რაც მარტის თვის საშუალო შეწონილ საპროცენტო განაკვეთზე 1,15 პროცენტით მეტია.



სახაზინო ვალდებულებების აუქციონები. აპრილში ჩატარდა სახაზინო ვალდებულებების ოთხი აუქციონი. მთლიანად განთავსდა 60 მლნ. ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ფასიანი ქაღალდი, საანგარიშსწორებო ფასით 57,319,088 ლარი, რაც მარტის თვის ანალოგიური მაჩვენებელის ტოლია. ბანკების მხრიდან მოთხოვნამ ფასიან ქაღალდებზე 62,2


მლნ. ლარით გადააჭარბა ემისიას. აუქციონზე გაიყიდა ოთხი განსხვავებული ვადიანობის 168, 182, 350, 364 დღიანი სახაზინო ფასიანი ქაღალდი, რაზედაც დაფიქსირდა შესაბამისად 6.17, 5.45, 6.04, 7.09 საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები.



ბანკთაშორის ფულადი ბაზარი. აპრილში ბანკთაშორის ფულადი ბაზრის მთლიანმა მოცულობამ 334,98 მლნ. ლარი შეადგინა, რაც მარტის თვის მაჩვენებელს 176,75 მლნ. ლარით აღემატება. ლარების ბრუნვის ხვედრითმა წილმა 52,7 პროცენტი შეადგინა. ლარის რესურსზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი მარტთან შედარებით 2,5 დან 4,0

პროცენტამდე, ხოლო უცხოურ ვალუტაში 2,5 დან 2,7 პროცენტამდე გაიზარდა.


აპრილის თვეში, ფულადი ბაზრის 65,4 პროცენტი ერთ თვემდე ვადიანობის, ხოლო 23,3 პროცენტი მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ რესურსზე მოდის.



7. საგარეო სექტორის მიმოხილვა

2010 წლის აპრილის თვის საქონლით საგარეო ვაჭრობის დეფიციტმა 257.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. საქონლის ექსპორტი საანგარიშო პერიოდში 127.1 მლნ აშშ დოლარი იყო, ხოლო იმპორტის მაჩვენებელი – 384.4 მლნ აშშ დოლარი, რაც წინა წლის აპრილის მაჩვენებლებთან შედარებით 40.1 პროცენტით და 20.9 პროცენტით მეტია შესაბამისად. 2010 წლის მარტთან შედარებით ექსპორტი გაიზარდა 4.5 მლნ აშშ დოლარით, ხოლო იმპორტი შემცირდა 36.4 მლნ აშშ დოლარით.


მა უმეტესად მოდის კერამიკულ ნაწარმზე, პლასტმასის მიღებზე, ელექტრულ მანქანებზე, ასევე ავეჯზე. მცირედი ზრდა აღინიშნება თურქეთიდან იმპორტირებულ ფარმაცევტულ საქონელზე. თურქეთის ანალოგიურად მნიშვნელოვანი კლება განიცადა იტალიიდან იმპორტირებული პროდუქციის ღირებულებამ, წინა თვესთან მიმართებაში აღნიშნული მაჩვენებელი 6.9 მლნ აშშ დოლარით შემცირდა. კლება უმეტესად მოდის ლითონოკონსტრუქ-





იმპორტი – 2010 წლის აპრილის თვეში, ძირითადი იმპორტიორი ქვეყნების შვიდეულში შევიდა თურქეთი, უკრაინა, აზერბაიჯანი, გერმანია, რუსეთი, ჩინეთი და აშშ. წინა თვესთან მიმართებაში იმპორტის ქვეყნების მიხედვით გაშლა არ შეცვლილა.

აღნიშნულ პერიოდში უმსხვილეს იმპორტიორ ქვეყანად წინა თვის ანალოგიურად რჩება თურქეთი (მთლიანი იმპორტის 16.2 პროცენტი). თურქეთიდან შემოსული იმპორტის ღირებულება მარტთან შედარებით 9.1 მლნ აშშ დოლარით შემცირდა, რაც ამა წლის აპრილის თვის იმპორტის 2.4 პროცენტს შეადგენს. აღნიშნული კლე-

ციებზე, რომლის იმპორტიც ერთჯერადად მოხდა 2010 წლის მარტში, ასევე ნავთობის კოქსსა და ნავთობის სხვა ნარჩენებზე. მცირედი ზრდა შეინიშნება იტალიიდან იმპორტირებულ მცენარეებზე. მნიშვნელოვნად იკლო ავსტრალიიდან იმპორტირებული პროდუქციის ღირებულებამ, აპრილის თვეში აღნიშნული მონაცემი 5.7 მლნ აშშ დოლარით არის შემცირებული ამა წლის მარტთან მიმართებაში. კლება სრულად მადნებზე მოდის. აღსანიშნავია რომ, 2009 წლისა და 2010 წლის პირველი კვარტალის მანძილზე ავსტრალიიდან იმპორტირებული პროდუქციის ღირებულება რეკორდულად იყო გაზრდილი მარტში. კერძოდ, ღირებულების ზრდა სრულად მადნებზე მოდიოდა. გერმანიიდან იმპორტირებული საქონლის ღირებულებამ 25.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი იმპორტის 6.7 პროცენტს შეადგენს. აღნიშნული მონაცემი წინა თვესთან მიმართებაში 2.6 მლნ აშშ დოლარით არის შემცირებული. კლება უმეტესად მოდის მანქანა დანადგარებსა და ჭურჭლის სარეცხ მანქანებზე, ასევე კომპიუტერულ ტექნიკასა და სატელეფონო აპარატურაზე. რაც შეეხება ყაზახეთიდან იმპორტირებული პროდუქციის ღირებულებას, წინა თვესთან შედარებით 2.1 მლნ აშშ დოლარით არის შემცირებული, რაც ძირითადად ხორბალზე, რკინასა და ფოლადზე მოდის. მცირედი ზრდა შეინიშნება რუმინეთიდან და გაერთიანებული სამეფოდან იმპორტირებული პროდუქციის ღირებულებაზე, რაც ძირითადად ნავთობზე და სპეც ტექნიკასა და ვულკანიზებულ რეზინის მიღებზე მოდის. წინა თვესთან შედარებით იმპორტირებული პროდუქცია ქვეყნების მიხედვით ნაკლებად დივერსიფიცირებულია.








იმპორტი პროდუქციის კატეგორიების მიხედვით	აპრილი 2009		მარტი 2010		აპრილი 2010	
კატეგორია	ათასი აშშ დოლარი	%	ათასი აშშ დოლარი	%	ათასი აშშ დოლარი	%
მინერალური საწვავი, ნავთობი და ნავთობპროდუქტები; ბიტუმიანი ნივთიერებები; ცვილები	56,819.3	17.9%	69,302.3	16.5%	70,282.3	18.3%
ბირთვული რეაქტორები, დანადგარები და მექანიკური მოწყობილობები; მათი ნაწილები	33,662.0	10.6%	35,176.8	8.4%	33,374.1	8.7%
მინისზედა ტრანსპორტის საშუალებები, გარდა რკინიგზის ან ტრამვაის მოძრავი შემადგენლობისა	25,354.4	8.0%	36,341.5	8.6%	30,913.0	8.0%
ელექტრული მანქანები და მოწყობილობები, მათი ნაწილები და საკუთონოები	24,077.4	7.6%	25,374.6	6.0%	23,009.4	6.0%
ფარმაცევტული პროდუქცია	14,593.8	4.6%	18,908.3	4.5%	22,167.5	5.8%
მარცვლოვანები	6,339.8	2.0%	12,888.3	3.1%	12,707.2	3.3%
შავი ლითონები	5,449.1	1.7%	11,718.1	2.8%	11,807.1	3.1%
პლასტმასები და მათი ნაწარმი	7,577.3	2.4%	13,019.6	3.1%	11,392.3	3.0%
შავი ლითონების ნაწარმი	7,984.3	2.5%	14,625.2	3.5%	9,541.5	2.5%
მადნები, ნიდა და ნაცარი	31.6	0.0%	10,760.1	2.6%	9,037.0	2.4%
ქალაქი და მუყაო; ნაწარმი ქალაქის მასის, ქალაქის ან მუყაოსაგან	5,947.6	1.9%	8,189.5	1.9%	8,150.5	2.1%
კაუჩუკი, რეზინი და მათი ნაწარმი	1,681.3	0.5%	5,532.5	1.3%	7,152.2	1.9%
თამბაქო და თამბაქოს სამრეწველო შემცველები	3,694.7	1.2%	6,540.9	1.6%	6,660.9	1.7%
ცხიმები და ზეთები და მათი დაშლის პროდუქტები; მზა საკვები ცხიმები; ცვილები	3,628.3	1.1%	4,810.9	1.1%	6,448.8	1.7%
სხვა კატეგორიები	121,187.2	38.1%	147,540.7	35.1%	121,735.2	31.7%
სულ	318,028.1	100.0%	420,729.5	100.0%	384,379.1	100.0%

2010 წლის აპრილში, იმპორტირებული საქონლის 18.3 პროცენტი მოდიოდა ნავთობპროდუქტებზე, აღნიშნული კატეგორიის იმპორტი წინა თვესთან შედარებით მცირედით არის გაზრდილი. 2010 წლის მარტთან მიმართებაში იმპორტირებული პროდუქციის ღირებულების კლება შეინიშნება მინისზედა ტრანსპორტის საშუალებებზე (5.4 მლნ აშშ დოლარით), კლება მოდის აშშ-ზე, უკრაინაზე, ჩეხეთზე და გაერთიანებულ სამეფოზე. ასევე იმპორტის მნიშვნელოვანი კლება აღინიშნება შავი ლითონის ნაწარმზე (ლითონოკონსტრუქციებზე). კლება ძირითადად

მოდის იტალიასა და ჰონგკონგზე. რაც შეეხება შაქრის იმპორტს, წინა თვესთან შედარებით, აღნიშნული მონაცემი 4.2 მლნ აშშ დოლარით არის შემცირებული, რაც მთლიანად სალვადორზე მოდის. ავეჯის იმპორტი შემცირებულია 4.0 მლნ აშშ დოლარით, კლება უმეტესად მოდის ჩინეთზე, თურქეთზე და ნიდერლანდებზე. რაც შეეხება კერამიკულ ნაწარმს, იმპორტი შემცირდა 3.8 მლნ აშშ დოლარით, რაც უმეტესად თურქეთსა და ჩინეთზე მოდის. ელექტრული მანქანებისა და მოწყობილობების იმპორტი შემცირდა 2.4 მლნ აშშ დოლარით, კლება მოდის არაბთა გაერთიანებულ საამიროებსა და თურქეთზე, ხოლო მცირედი ზრდა მოდის ჩინეთზე. იმპორტის ზრდა შეინიშნება ფარმაცევტულ პროდუქციასა და ლოკომოტივებზე 3.3 და 2.0 მლნ აშშ დოლარით შესაბამისად, რაც უმეტესად აშშ-ზე, ნიდერლანდებსა და თურქეთზე და ლატვიასა და უკრაინაზე მოდის შესაბამისად. იმპორტის კატეგორიების მიხედვით გაშლა წინა თვესთან მიმართებაში ნაკლებად დივერსიფიცირებულია.



ექსპორტი – როგორც უკვე აღვნიშნეთ, ექსპორტი საანგარიშო პერიოდში წინა თვესთან შედარებით 4.9 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა. 2010 წლის აპრილის თვეში ნამყვანი ექსპორტიორი ქვეყნების შვიდეულში შევიდა თურქეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, აშშ, უკრაინა, ბულგარეთი და ბრაზილია. ექსპორტის ზრდა უმეტესად მოდის აშშ-ზე, ბრაზილიაზე, თურქეთზე, რუსეთზე, ბელორუსსა და ზიმბაბვეზე. აშშ-ში ექსპორტირებული პროდუქციის ღირებულების ზრდამ 7.7 მლნ აშშ დოლარი, აპრილის ექსპორტის 6.1 პროცენტი შეადგინა, რაც სრულად მოდის ფეროშემადნობებზე, ხოლო მცირედი კლება შეი-



ნიშნება სპილენძის ნარჩენებსა და ჯართზე. ბრაზილიის შემთხვევაში ექსპორტირებული პროდუქციის ღირებულების ზრდამ 6.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც ექსპორტის 4.7 პროცენტია და სრულად მოდის სასუქებზე. თურქეთში ექსპორტირებული პროდუქციის ღირებულება გაიზარდა 3.7 მლნ აშშ დოლარით, რაც შავი ლითონების ნარჩენებსა და ჯართზე მოდის, ხოლო მცირედი კლება სასუქებზე მოდის. რუსეთში ექსპორტირებული ელექტროენერგიის ხარჯზე აღნიშნულ ქვეყანაში ექსპორტი გაიზარდა 3.1 მლნ აშშ დოლარით. ბელორუსიაში საქართველოდან ექსპორტის ზრდა გამოწვეულია ფეროშენადნობების, საფრენი აპარატების ნაწილების და ღვინის ექსპორტით. აღნიშნულმა ზრდამ 2.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ბრაზილიის ანალოგიურად მოხდა 2.6 მლნ აშშ დოლარის სასუქის ექსპორტირება ზიმბაბვეში, რამაც გაზარდა აღნიშნულ ქვეყანაში ექსპორტი. აღსანიშნავია


ქტროენერგიის ხარჯზე აღნიშნულ ქვეყანაში ექსპორტი გაიზარდა 3.1 მლნ აშშ დოლარით. ბელორუსიაში საქართველოდან ექსპორტის ზრდა გამოწვეულია ფეროშენადნობების, საფრენი აპარატების ნაწილების და ღვინის ექსპორტით. აღნიშნულმა ზრდამ 2.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ბრაზილიის ანალოგიურად მოხდა 2.6 მლნ აშშ დოლარის სასუქის ექსპორტირება ზიმბაბვეში, რამაც გაზარდა აღნიშნულ ქვეყანაში ექსპორტი. აღსანიშნავია

ექსპორტი პროდუქციის კატეგორიების მიხედვით	აპრილი 2009		მარტი 2010		აპრილი 2010	
კატეგორია	ათასი აშშ დოლარი	%	ათასი აშშ დოლარი	%	ათასი აშშ დოლარი	%
შავი ლითონები	18179.6	20.0%	29245.3	23.9%	34,906.9	27.5%
მინისზედა ტრანსპორტის საშუალებები, გარდა რკინიგზის ან ტრამვაის მოძრაობის შემადგენლობისა	6855.1	7.6%	17086.3	13.9%	14,690.0	11.6%
ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელები და ძმარი	7580.0	8.4%	13333.7	10.9%	14,313.7	11.3%
სასუქები	3572.8	3.9%	3158.6	2.6%	10,854.3	8.5%
მადნები, წიდა და ნაცარი	10034.2	11.1%	9436.9	7.7%	9,381.8	7.4%
მარგალიტი, ქვები, ძვირფასი ლითონები და მათი ნაწარმი; ბიუტყვია; მონეტები	8299.7	9.2%	7530.6	6.1%	5,334.5	4.2%
მინერალური საწვავი, ნავთობი და ნავთობპროდუქტები; ბიტუმიანი ნივთიერებები; ცვილები	5560.6	6.1%	3725.2	3.0%	4,405.8	3.5%
სპილენძი და მისი ნაწარმი	813.4	0.9%	4109.0	3.4%	3,651.3	2.9%
ბირთვული რეაქტორები, დანადგარები და მექანიკური მოწყობილობები; მათი ნაწილები	1552.3	1.7%	748.2	0.6%	3,364.6	2.6%
საკვებად ვარგისი ნაყოფი და კაკალი; ციტრუსების ან ბაჩჩეული კულტურების ქერქი და კანი	4138.3	4.6%	4314.6	3.5%	3,299.6	2.6%
ფარმაცევტული პროდუქცია	1141.6	1.3%	2531.5	2.1%	2,117.6	1.7%
მარცვლოვანები	201.0	0.2%	2067.8	1.7%	1,717.1	1.4%
ცოცხალი ცხოველები	855.7	0.9%	2269.9	1.9%	1,525.0	1.2%
ალუმინი და მისი ნაწარმი	578.6	0.6%	1459.8	1.2%	1,399.4	1.1%
სხვა კატეგორიები	21333.9	23.5%	21586.6	17.6%	16127.9	12.7%
სულ	90696.7	100.0%	122604.0	100.0%	127089.5	100.0%

ექსპორტის კლება საბერძნეთში, გერმანიასა და ნიდერლანდებში, სამივე ქვეყნის შემთხვევაში კლება სრულად ფეროშენადნობებზე მოდის. ამ კლების ჯამურმა მოცულობამ 7.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. წინა თვესთან შედარებით ექსპორტი ქვეყნების მიხედვით ნაკლებად დივერსიფიცირებულია.


2010 წლის აპრილში, ექსპორტირებული საქონლის 27.5 პროცენტი მოდიოდა შავ ლითონებზე, აღნიშნული კატეგორიის ექსპორტი წინა თვესთან შედარებით გაზრდილია 5.7 მლნ აშშ დოლარით, რაც შეადგენს ექსპორტის 3.6 პროცენტს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ კატეგორიის ექსპორტის ზრდა მოდის აშშ-ზე, თურქეთზე, ასევე სომხეთსა და აზერბაიჯანზე, ხოლო შემცირება დაფიქ-

სირდა საბერძნეთში, ნიდერლანდებში, გერმანიაში, კორეაში, იაპონიასა და გაერთიანებულ სამეფოში. როგორც უკვე აღვნიშნეთ წინა თვესთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა სასუქის ექსპორტი (ზრდამ შეადგინა 7.7 მლნ აშშ დოლარი, რაც მთლიანი ექსპორტის 6.0 პროცენტს შეადგენს), აღნიშნული ზრდა მოდის ბრაზილიასა და ზიმბაბვეზე, ასევე საფრანგეთსა და ალბანეთზე, ხოლო მცირედი კლება შეინიშნება თურქეთში, რუმინეთსა და ესპანეთში ექსპორტირებულ პროდუქციაზე. ექსპორტის კლება შეინიშნება ტრაქტორებსა და ოქროზე (2.0 მლნ აშშ დოლარით ორივე შემთხვევაში), რაც შესაბამისად ისრაელსა და კანადაზე მოდის. ექსპორტის კატეგორიების მიხედვით გაშლა წინა თვესთან მიმართებაში ნაკლებად დივერსიფიცირებულია.



ფულადი გზავნილები – 2010 წლის აპრილის თვეში სწრაფი ფულადი გზავნილებით საქართველოში ჩარიცხული თანხის მოცულობა 74.7 მლნ აშშ დოლარს, ხოლო საქართველოდან გადარიცხული თანხის მოცულობა 6.5 მლნ აშშ დოლარს შეადგენს. საქართველოში ჩარიცხული თანხა წინა წლის აპრილის თვესთან შედარებით 23.2 პრო-


ცენტით არის გაზრდილი, ხოლო წინა თვის მონაცემთან შედარებით 8.7 პროცენტით არის შემცირებული. რაც შეეხება გადარიცხვებს, აღნიშნული მაჩვენებელი 10.5 პროცენტით გაიზარდა წინა წლის აპრილთან შედარებით და 8.7 პროცენტით არის შემცირებული წინა თვის მონაცემთან შედარებით.



საანგარიშო პერიოდში საქართველოში ჩარიცხული თანხების 56.0 პროცენტი მოდის რუსეთის ფედერაციაზე, 7.4, 7.4, 6.6 და 5.2 პროცენტი მოდის შესაბამისად აშშ-ზე, უკრაინაზე, საბერძნეთზე და იტალიაზე.

